სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის
მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო
სკოლის ინგლისური და გერმანული ენების მასწავლებელი
ლიანა ცხადაძე

ონლაინ ინსტრუმენტები (Web 2.0)

უცხო ენების გაკვეთილებზე

მასწავლებლობა , გარდა საგნის ხარისხიანად და საფუძვლიანად სწავლებისა, თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ძიებას და შემდგომ მის პრაქტიკაში გამოყენებას გულისხმობს, რათა მასწავლებელმა ახალი მიგნებები მოსწავლეების აკადემიური თუ პიროვნული განვითარებისკენ მიმართოს. ოცდამეერთე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება გვაძლევს შესაძლებლობას საგაკვეთილო პროცესი უფრო სახალისო და მრავალფეროვანი გავხადოთ. არსებობს უამრავი საგანმანათლებლო რესურსი, სასწავლო პროგრამა თუ საერთაშორისო პროექტი, რომლებიც გვეხმარება სასწავლო პროცესი მოვარგოთ მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებს . რაც შეეხება სასწავლო მასალების მოძიებასა და მასწავლებლის მიერ მის შექმნას, მულტიმედია ამის შეუზღუდავ საშუალებას იძლევა. ახალი მასალის (ლექსიკის, გრამატიკის, კულტურული კომპონენტის მომცველი თემატიკის) პრეზენტაციის მიზნით ინტერნეტი უზრუნველყოფს მასწავლებელს მაღალი ხარისხის ილუსტრაციებით (სურათებით, კარიკატურებით, ანიმაციით, ვიდეოფრაგმენტებით), დეფინიციებით, სინონიმებითა და ანტონიმებით, ასევე სანიმუშო წინადადებებით, რომლებიც ახალი ლექსიკის შესიტყვების უნარის დემონსტრირებას ახდენენ .

მედიასაშუალებები გამოიყენება სასწავლო პროცესის ოპტიმიზირების მიზნით ნებისმიერი საგნის სწავლებისას. ისინი მოიცავენ უმდიდრეს ტექსტობრივ და აუდიო-ვიდეო მასალას, რომელიც სასარგებლოა როგორც მასალის პრეზენტაციისას, ისე მისი გავარჯიშების და მიღებული ცოდნის დონის გასაზომად (Peschel & Irion, 2016).

ონლაინ საგანმანათლებლო საშუალებების გამოყენების ფუნქციაში უცხოური ენის სწავლებისას შედის, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ის აიოლებს და მრავალფეროვანს ხდის მეცადინეობის ჩატარებას, ხდის მას უფრო გასაგებს, აღქმადსა და ამაღელვებელს. ის ეხმარება უცხოური ენის მასწავლებელს თავი აარიდოს მეცადინეობის დროს მშობლიური ენის გამოყენებას (სათანადო ლექსიკის არცოდნისას მოსწავლეს დაეხმარება ილუსტრაციები და კონტექსტი, სინონიმები და ანტონიმები, ლექსიკონები და ენციკლოპედიები). მათ მრავალფეროვნება და ავთენტურობა შეაქვთ მეცადინეობის პროცესში. გასაგებია, რომ ეს ზრდის მოსწავლეების მოტივაციას, თვითდაჯერებულობასა და ა.შ

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე გავცნობოდი საერთაშორისო გამოცდილებას , გამეგო რა რესურსებს იყენებდნენ სხვა ქვეყნის მასწავლებლები თავიანთ გაკვეთილებზე და როგორ არგებდნენ მათ განსახილველ საკითხებს. ჩემს მე-8 კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩავერთე საერთაშორისო eTwinning პროექტში „Destinations of Nations“, რომელშიც ჩვენ გარდა იყვნენ თურქეთის, უკრაინის და ესპანეთის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში , სხვა მრავალ სარგებელთან ერთად, გავეცანით სხვადასხვა Web.2.0. ინსტრუმენტების გამოყენების ტექნიკას და თვალნათლივ დავინახე, რომ ახალი Web 2.0 ინსტრუმენტები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ხელახლა გამოიყენონ, გარდაქმნან ინტერნეტში არსებული რესურსები და მოარგონ თავიანთ დავალებებს, ან თავად შექმნან ახალი . რესურსების შემნით ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი სწავლა-სწავლების პროცესში და არ არიან მხოლოდ პასიური მსმენელები.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული საგანმანათლებლო ვებ.2. ინსტრუმენტები (მათი გამოყენება ასევე შეუძლიათ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს) :

- Story Jumper- შეუძლიათ გამოიყენონ უცხო ენების, ქართულის, ისტორიის, ხელოვნების ,მუსიკის მასწავლებლებმა , სხვადასხვა პერსონაჟების თუ მოვლენების აღწერის მიზნით.

- Canva- კარგი ინსტრუმენტია, როცა გვაქვს მიზანი მოსწავლეებმა შექმნან ბუკლეტები, პოსტერები, მისალოცი ბარათები ან სხვა.

- Plotagon- კარგია დიალოგების შესაქმნელად. მოსწავლეებს მარტივად შეუძლიათ ჩამოტვირთონ აპლიკაცია მობილურ ტელეფონში, აირჩიონ მათთვის სასურველი ავატარი და აუდიოსთან ერთად წინადადებებიც გამოაჩინონ ტიტრების სახით.

- Google Earth- უცხო ენების, გეოგრაფიის , ისტორიის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ან ღირსშესანიშნაობების გასაცნობად.,

- Artsteps- კარგი საშუალებაა შევქმნათ ვირტუალური გამოფენა (უცხო ენების, ქართულის, ისტორიის და სხვა საგნის გაკვეთილებისთვის)

- Quizlet - მოსწავლე უცხო სიტყვებს სწავლობს სახალისო გზით

- Voki - კარგი საშუალებაა გარკვეული თემატიკის „ჩემი ოჯახი“, „ჩემ შესახებ“, „ჩემი საყვარელი საქმიანობა“ და სხვა შესწავლისას. მოსწავლე ირჩევს სასურველ ავატარს, წერს ტექსტს ან აუდიო ჩანაწერს ტვირთავს მითითებულ ველში. განსაკუთრებით მოსწონთ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს.

- Chatter pix- მოსწავლეებს შეუძლიათ მარტივად ჩამოტვირთონ აპლიკაცია მობილურ ტელეფონში. კარგი ინსტრუმენტია, როდესაც საგაკვეთილო თემა ეხება ცნობილი ადამიანების ცხოვრებას და მოღვაწეობას, მოსწავლე ტვირთავს სურათს , შესაბამის ველში - სასურველ ტექსტს, ცნობილი ადამიანი კი „წაიკითხავს“ მას

პროექტის ფარგლებში კიდევ მრავალი ინტერნეტ რესურსი გამოიყენეს მონაწილეებმა და უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეები არამარტო ახალ უნარებს და მეგობრებს იძენენ eTwinning-ის საშუალებით, არამედ მიღებულ ცოდნას რეალურ სიტუაციებში იყენებენ და აანალიზებენ უცხო ენების დაუფლების მნიშვნელობას საერთაშორისო დონეზე კონტაქტების დამყარების მიზნით. ჩვენი,მასწავლებლების უმთავრესი ამოცანაა უცხო ენების შესწავლის პროცესი საინტერესო და სახალისო გავხადოთ მოსწავლეებისათვის. ამის მისაღწევად ერთ-ერთი კარგი საშუალებაა Web.2.0 ინსტრუმენტების გამოყენება .